

„გამტვიცებ“

საქართველოს მიწის ეროვნული



31 აგვისტო 2023 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სალიცენზიო შეჯიბრება 2008-2009 წლებში დაბადებულთა შორის
(დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო)

2023 წელი
15-17 სექტემბერი
თბილისი – ზუგდიდი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოსტთა შერჩევა ფინალური შეჯიბრებისთვის;

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2008-2009 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოსტები. (სხვა წლებში დაბადებულები არ დაიშვებიან).
- მონაწილეები ვალდებული არიან აწონვის დროს წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთი – პირადობის მოწმობა, ან პასპორტი.

IV. შეჯიბრების კენჭისყრა, ადგილი, დრო და რეგისტრაცია

- შეჯიბრება ჩატარდება 15-17 სექტემბერს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.
- აღმოსავლეთ საქართველო – თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38. დასავლეთ საქართველო – ზუგდიდი, ძიუდოს დარბაზი, სოხუმის ქ.№1.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს – თითოეული სპორტსმენი აწონვისას თავად იღებს ნომერს, რომლის მიხედვით ხვდება კენჭისყრის ბადაში.
- ჩამოსვლის დღე ტურნირზე – 14 სექტემბერი, წასვლის დღე – 18 სექტემბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი: 10:00.

რეგისტრაცია:

- ძიუდოსტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (<http://gjf.ge/geo/calendar/georgia>) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2023 წლის 9 სექტემბრამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 11 სექტემბერს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებული არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოსტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.
- სპორტსმენის მონაწილეობა დასავლეთ, ან აღმოსავლეთ საქართველოში განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ სად ატარებს საწვრთნელ პროცესს მისი პირადი მწვრთნელი.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 3 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე. დამამშვიდებელ წრეში იმოქმედებს „ოქროს ქულის“ წესი.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში:
- -46კგ; -50კგ; -55კგ; -60კგ; -66კგ; -73კგ; -81კგ; +81კგ;
- 15 სექტემბერი: -46კგ; -60კგ; -81კგ;
- 16 სექტემბერი: -50კგ; -66კგ; +81კგ;
- 17 სექტემბერი: -55კგ, -73კგ.
- რეგისტრაციის შემდეგ მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით შეიძლება შეიცვალოს წონითი კატეგორიების საშეჯიბრო დღეები.

- აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლინდება 24 ძიუდოსტი, ხოლო დასავლეთ საქართველოში - 8.

VI. აწონვა

აღმოსავლეთ საქართველო - თბილისი, ძიუდოს აკადემია. ბელიაშვილის 38.
დასავლეთ საქართველო - ზუგდიდი, ძიუდოს დარბაზი, სოხუმის ქ.№1.

აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს.

არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;

ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, დამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

საკონტაქტო პირი აღმოსავლეთ საქართველო – 577994407 ზურაბ უსუფაშვილი

საკონტაქტო პირი დასავლეთ საქართველო – 599966715 ბადრი გახოკიძე

P.S.

- **შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიბანოს ქონა.**
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- პირად მწვრთნელებს მიეცეთ მითითება არ დაუშვან იმ სპორტსმენთა მონაწილეობა, რომელთა წონა საშეჯიბრო წონასთან მიმართებაში არის ორი კილოგრამით მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მიუხედავად სპორტსმენის მიერ დაკავებული საპრიზო ადგილისა, მას აეკრძალოს ასპარეზობა სხვადასხვა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებზე.

ფედერაციის პრეზიდენტი



გიორგი ათაბეგაშვილი